სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 ივნისი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/57

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორის ანზორ დევაძის შოთა რუსთაველის სახელობის მედლით დაჯილდოების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, „შოთა რუსთაველის სახელობის მედლის“ დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №122 დადგენილების, ტურიზმის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№25-05/06, 30.05.2025) ამონაწერისა და ამავე ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 9 25 0000648162, 10.06.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის **პროფესორი ანზორ დევაძე,** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს უნივერსიტეტის საპატიო ჯილდოთი – გადაეცეს შოთა რუსთაველის სახელობის მედალი.

2. ბსუ–ს რექტორის აპარატს დაევალოს წინამდებარე დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაში), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტს, ანზორ დევაძეს, ბსუ-ს რექტორის აპარატს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**